

## თამაზ ბაბისონია

### ქართული ხალხური საპრაგიერი მრავალხმიანობის ცორმები

შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტული მუსიკის შემსრულებლობა ნაკლებად „უშეალოა“, ვიდრე – ვოკალურისა. ჩემი აზრით, სწორედ ამ მიზეზითაა მართლმადიდებლურ ტრადიციის მსახურებაში საკრავის გამოყენება დაუშვებელი – ადამიანის სახმო ორგანოები ხომ შემოქმედებითი ჩანაფიქრის ბეჭრად უფრო უცდომელად ამსახველი ინსტრუმენტია, ვიდრე ადამიანის ხელით შექმნილი საკრავები. მართალია, ზოგიერთი ხალხის მუსიკალურ შემოქმედებაში საქრავს წამყვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ, ხშირად ეს მოვლენა რელიგიური რეგლამენტით ან მონოდიური აზროვნების თავისებურებებითაა გამოწვეული.

შესაძლოა, სწორედ ამგვარი მეორადობის გამო საქრავიერი მუსიკა ქართულ ტრადიციაში ნაკლები ხვედრითი წილითა და მნიშვნელობით ხასიათდება, ვიდრე ქართული ხალხური სიმღერა. ამგვარ შეფარდებაზე, უქვევლია, გაფლენას იქნინებდა ქრისტიანული მუსიკალური კულტურისათვის დამახასიათებელი „ვოკალურობაც“. ძირითადად კი, ჩვენი აზრით, ქართულ გარემოში ხმიური და საქრავიერი სფეროს ხვედრითი წილის შეფარდება ქართულ ხალხურ მუსიკაში ინტონირების „უშეალობისადმი“ და ხოლო შესრულებაზე უფრო მეტად ხმის შეწყობისადმი სწრაფვის გამომხატველია.

ქართული საქრავიერი მუსიკა დიდი უმეტესობით თანხლების როლს ასრულებს. ამ თანხლებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ვოკალის, არამედ – რიტუალური თუ სამეურნეო ქმედების თანხლებაც. სოციალური რეგლამენტი ქართული საქრავის მუსიკალურ შედეგზეც აისახება. ვოკალისაგან თავისუფალი ქმედების საქრავიერ თანხლებაში გვხვდება ისეთი ინტონაციები, რომელსაც ვერ ან უკვე ვერ შევხვდებით ქართულ ხმდებაში. სამაგიეროდ, სიმღერის თანხლებ საქრავიერ მუსიკაში, უმეტესწილად, ვოკალური მუსიკალური აზროვნების საქრავიერ სიბრტყეზე პროექციას აღმოვაჩენთ. სასიმღერო ინტონაცია არც ხოლო დასაკრავისთვისაა უცხო, მაშინ, როდესაც საქრავის ვოკალით მიბაძვა მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხდება.

ზემოაღნიშნული თავისებურების გამო, ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმიანობის საქმაოდ დაწერილებით განხილული ფორმების მიხედვით, თითქოსდა, ადვილი უნდა იყოს ქართული ხალხური საქრავიერი მრავალხმიანობის ფორმათა დადგენაც. შესაძლოა, ამიტომ, ქართველი მკალევრების ინტერესის სპეციალური საგანი ეს სფერო ჯერ არ გამხდარა. შევცდებით, ამ მიმართულებით კვლევას ჩვენი მცირე ნაშრომიც შეგმატოთ.

თავდაპირველად წარმოვადგენთ ქართულ საქრავთა შედარებით მიმოხილვას მრავალხმიანი სტრუქტურის შექმნის პოტენციის მიხედვით.

ცხადია, ასეთი მიმოხილვისას არ ვითვალისწინებთ დასარტყებმ საკრავებს. დოლი და დაირა, ასევე ტაშიც, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის მკაფიოდ გამოხატული რიტმული ფონია. ამის ერთ-ერთი დასტური ისიცა, რომ ყურადღება არ ექცევა მათი ბგერათსიმაღლებრივი წყობის შესაბამისობას მუსიკალურ ქმედებასთან.

დასარტყებმ საკრავთა ჯგუფთან აკომპანემენტის რიტმული მხარის მხრივ სასულებელი უფრო ახლოს სიმღებიან საკრავთა ჯგუფი დგას, კერძოდ – ჩამოსაკრავები – ფანდური და ჩონგური. გარდა მასალისა, აგებულებისა, სიმთარაოდენობისა, წყობისა, საქცევოა ქონა-არქონისა, მათი ძირითადი განსხვავება, ჩვენი აზრით, უნდა ვეძოთ იქ, სადაც ყველა ზემოხამოთვლილი ფაქტორი ნაკლებმნიშვნელოვანია. ამგვარ მთავარ განსხვავებად ამ ორ საკრავს შორის მაინც მოზიდვის გამოყენების სისხირეს მივიჩნევთ. ერთადერთი გარეგნული ფაქტორი, რომელიც ჩონგურს ნაწილობრივ ეხმარება ამ კუთხით მეტი მრავალფეროვნების მიღწევაში, მისი მეოთხე სიმი – „ზილია“:

ის ფაქტი, რომ საქართველოს აღმოსავლეთში გავრცელებული ფანდურისთვის მოზიდვის ტექნიკა უცხოა, ზოგიერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს: ნათელია, რომ ფანდურის, როგორც აკომპანემენტის ფუნქცია განსხვავდება ჩონგურის ასეთივე ფუნქციისაგან. ფანდური უფრო ადგილად იგივდება ვოკალურ ბანთან. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული შებანების მეოთხი თანაბრად გამოიყენება როგორც ვოკალური ბანის, ასევე – ფანდურის თანხლების მიერ. ამ დროს ფანდური ხშირად რეგულარულ მეტრულ პულსაციასაც კი კარგავს, რაც ამგვარი საკრავისათვის აგრერიგადაა დამახასიათებელი (აუდიო მაგ. 1).

მაგრამ ბანთან ეს მსგავსება მხოლოდ სოლო მომღერლის შებანებისას შეინიშნება. ხოლო მაშინ, როდესაც თავისუფალი მეტრის კონტინუალური ბურდონიანი სიმღერები ქვერს, ფანდურის კამერული ხმოვანებისა და რეგულარული რიტმული ფიგურისათვის ადგილი აღარ რჩება.

ამგვარად, ბურდონული ბანის ანალოგიური ფუნქცია ფანდურს არ ანიჭებს დაკვრის გამრავალფეროვნებისათვის მოზიდვის ტექნიკის გამოყენების საბაზს, რა ფაქტორმაც, შეიძლება ვიგარაუდოთ, მოზიდვის ხერხი ფანდურისათვის არააქტუალურად აქცია. მართალია, გამონაკლისები აქაც გვაქს – ძირითადად თუშერ დასაკრავებში, მაგრამ ეს კერძო შემთხვევებია და კანონმომიერებას არ ქნის.

სხვაგვარი ფუნქცია გააჩნია ჩონგურს. დასავლურ სიმღერებში ბანს ნაკლებად ქიქება ჰარმონიული ფუძისა და ფონის როლი. ჩონგურის თანხლებაც არა ბანზე, არამედ ზოგადად სიმღერის მოლისნ ფაქტურაზეა ორიუნტირებული და, როგორც ჩანს, ამის გამო, უფრო ინდივიდუალიზებულია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფანდურის მსგავსი „ბანური“ აკომპანემენტი ჩონგურის დასაკრავებში არც თუ ისე ცოტაა – ძირითადად სოლო მომღერლის თანხლებისას. ეს ამ დასაკრავების სიძველით უნდა აიხსნას. თუმცა, მათ გვერდით, ჩონგურის ჩამოკვრისა და მოზიდვის ორგანულად შეხამებულ, თუნდაც უფრო გვიანდელ მეოთხს, თავისი მხატვრული ფასეულობა გააჩნია.

ამგვარად, ჩონგური მკაფიოდ გამოიყოფა, როგორც ფუნქციონალური მრავალხმიანობის ჩანასახის მქონე საკრავი. აქ ფუნქციონალურად თვით-

მყოფადი ხმა აკორდულ ჩამოკვრასთან მელოდიური სვლის მონაცემლეობით ინაკოტება. საქმაოდ მკაფიოდ ნაწილდება ორი ხელის ფუნქციაც – მელოდიურ სვლაში ორივე ხელის თოთები აქტიურად მონაწილეობს, რაც შეეხება აკორდულ ჩამოკვრას, აქ მარჯვენა ხელის სხვადასხვა საშემსრულებლო მეთოდი ქმნის როგორც თანახმიერ, ასევე დაშლილ თანხმოვანებებს.

ჩონგურს ფუნქციურად მეტად უახლოვდება ჩანგი, რომელიც დღეს მხოლოდ სვანეთში გვხვდება. ჩონგურის, როგორც მოსაზიდი საკრავის თავისებურება, რომელიც სიმღერის ფაქტურის დასაკრავზე პროექციას გულისხმობს, ჩანგში უფრო მეტად რეალიზდება. ახორისის სიტყვებით, ჩანგის პარტია სიმღერის ერთგვარი ტრანსკრიფციაა. ისევე, როგორც ჩონგურში, თანმხლები საკრავის რიტმული ფუნქცია ჩანგში დაშლილი თანხმოვანებების სახითაა გადმოცემული.

ამგვარი დაშლილი აკორდები ნაკლებ დამახასიათებელია ჭუნირისათვის. აქ რიტმული ფუნქცია, ძირითადად, ხემის მოძრაობის მიმართულების შეცვლით გამოიხატება. ჭუნირი ხშირად სიმღერის იდენტურ ფაქტურას გადმოგვცემს, მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით, სოლო ვოკალთან შეხამებისას, ორიგინალურ ფაქტურასაც აყალიბებს (აუდიო მაგ. 2).

მიუხედავად იმისა, რომ ჭუნირის და ჭიანურის ინტენსიური ბგერა ამ საკრავს ვოკალის თვისებებს ანიჭებს, ეს თავისებურება სვანური სიმღერების თანმხლებ პარტიაში სხვა საკრავებთან ეფექტურ სხვაობას არ გვაძლევს.

ჩასაბერი საკრავები, როგორც ცნობილია, აგბულებითა და ბგერათწარმოქმნის მექანიზმით ადამიანის მეტყველების აპარატს გმიშვაგება. ეს მუსიკალურ შედეგზეც აისახება. შეიძლება ითქას, ჩასაბერი საკრავები შორსაა ეწ. „ინსტრუმენტული მელოდიისაგან“ და უფრო მეტად „ვოკალურ მელოდიას“ უახლოვდება; ყოველ შემთხვევაში, საქართველოში.

ამჯერად ცოტას ვისაუბრებთ სალამურზე, რაღაც მას, როგორც სოლო საკრავს, მრავალხმიანი ფაქტურის პოტენცია არ გააჩნია და, ამასთან, ტრადიციის თვალსაზრისით, არც თუ ისე ხშირად მონაწილეობს სხვა საკრავებთან ერთად მრავალხმიან პროცესში.

ფუნქციონალურად გამოკვეთილი ვოკალური მრავალხმიანობის დასაკრავში ასახვა საქართველოში ყველაზე უკეთ ჭიბონისა და გუდასტვირს ხელუწიფება. ქართველი მეცნიერები ამ საკრავებს, უფრო ხშირად, ერთი საკრავის ორ ნაირსახეობად მიიჩნევენ. ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით. გარდა აგებულებაში სხვაობისა და დიაპაზონისა, ჭიბონი და გუდასტვირი დაკვირის სხვადასხვა მეთოდითაც განირჩევიან ერთმანეთისაგან.

ჭიბონისა და გუდასტვირის მრავალხმიანობის მთავარი არგუმენტი მათივე აგებულებაა. სიმებიან საკრავებში ერთი მელოდიური ნახაზის წარმოქმნაში ორივე ხელი მონაწილეობს, რაც დამატებითი საზრუნავია. აქ ერთ ხელს – მარჯვენას მხოლოდ დაშლილი აკორდის აქტიურება ძალუმს. განსხვავებით სიმებიანებისაგან, ჭიბონისა და გუდასტვირის თითო ლულას თითო ხელის მიერ თითო მელოდიური პლასტის წარმოქმნა შეუძლია (მარჯვენა რომ ნაწილობრივ ორივე დედნის თვლებს ფარავს, ეს ფაქტორი აქ მეორადი მნიშვნელობისაა). გამხოლებული მილები ასევე გამხოლოებულ, ორიგი-

ნალური ფუნქციონალობის პლასტებს ქმნიან. ამ მხრივ გამოირჩევა რაჭული და ქართლური გუდასტვირი. აქ „მებანე“ აშკარად იხრება ბურდონისაკენ. საინტერესოა, რომ ამ საკრავებში სშირად ინსტრუმენტული მოტივი მთლიანი მუსიციონების ლიდერიც ხდება. ამავე დროს, სტვირის მელოდიის ფონს სშირად მესტვირის რეზიტაცია ედება. აჭარული ჭიბონი, გუდასტვირისაგან განსხვავებით, სოლო გოგალის შემბანებელი ნაკლებადაა. იგი უფრო მეტად სოლო საკრავია და შესაბამისად, უფრო განვითარებული ფაქტურის დასაკრავები აქვს. ამიტომ ხმის ბურდონულ გამბაზე მეტად აქ ოსტინატურ განმეორებადობას ვხვდებით (აუდიო მაგ. 3).

დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი ლარჯემი ანუ სოინარი – მრავალდერიანი სალამური – სოლო მრავალხმიანობის მხრივ, შეიძლება ითქვას, უპერსპექტივო. ამ მიმართებით იგი ბევრად არ აღმატება სალამურს. უფრო მეტიც, სალამურის პარტიაში ზოგჯერ ფარული, ანუ ნაგულისხმევი მრავალხმიანობის ელემენტებსაც კი შეიძლება შევხვდეთ. ლარჯემ-სოინარზე ორი ბერა ერთად გამოიცემა, მაგრამ სპეციფიკური წერტილის გამო, მასზე მხოლოდ უმარტივესი მელოდიური ფრაზების დაკვრაა შესაძლებელი (აუდიო მაგ. 4).

ქართული ხალხური საკრავების მრავალხმიანობისადმი მიდრევილების მიხედვით განხილვის შემდგაბ უფრო კონკრეტულად ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ მრავალხმიანობის რა ფორმები შემუშავდება ამ საკრავთა მიერ.

მაგრამ სანამ ამ ფორმათა ინსტრუმენტულ დასაკრავებში განსხეულებაზე ვიმსჯელებთ, შესრულების რეგლამენტის გათვალისწინებით, დასაღანია შემდეგი აუნქტირები: რა სტატუსით უნდა განისაზღვროს ინსტრუმენტული მრავალხმიანობა ვოკალურობის შედარებით? მოიძენება თუ არა ვოკალური ცნება „ხმის“ ანალოგი საკრავიერ მუსიკაში? როგორ განისაზღვროს ვოკალური და ინსტრუმენტული მრავალხმიანობის შესამების მრავალსახოვანი ფორმები?

საქართველოში ინსტრუმენტული მრავალხმიანობის სტატუსი, რასაც ჩვენ მრავალხმიანობის რეალური ფუნქციონალურობის ხარისხს დაგუავშირებთ, დაბალია, ვიდრე ვოკალურისა. ყველაზე მკაფიოდ ინსტრუმენტულ მუსიკაში ფუნქციონალური მრავალხმიანობის ნიმუშები სოლო დასაკრავებში გვხვდება – ანუ ერთი შემსრულებლის კუთხით გვხვდება, რაც, ცხადია კიდევ უფრო დაბლა წევს ხევნებული ხარისხის ნიშნულს.

საკმაოდ რთულია ცნება „ხმის“ ფუნქციური გაგების მისადაგებაც ინსტრუმენტულ მუსიკასთან, მაგრამ არა – შეუძლებელი. ზემოაღნიშული მსგავსების მიხედვით, „ხმას“ უფრო თამამად ვეწოდებთ ორხმიანი ჩასაბერი საკრავების ცალკე მდგრმ მელოდიურ პლასტს.

საზოგადოდ, თუ შემსრულებელი გარკვეულ ძალისხმევას ხარჯავს ამ საკრავზე ორი ან მეტი ხმის გამოსაკვთად, საშე მრავალხმიან აზროვნებასთან გააქვს. სამაგიეროდ, მრავალხმიანად ვერ ჩავთვლით ფანდურზე ხელის ერთი ჩამოკრით მიღებულ აკორდთა მიმდევრობებს. სოლო ინსტრუმენტულ შესრულებას, სადაც საკრავის პარტიაში ფუნქციონალურად თვითმყოფადი ხმები იკვეთება, ვუწოდებთ „ინდივიდუალურ მრავალხმიანობას“

(იგულისხმება ინდივიდუალური ინსტრუმენტული მრავალხმიანობა). ამგვარ სურათს ვხედავთ ჭიბონის, გუდისტვირის, აგრეთვე ჩონგურის და ჩანგის ზოგიერთ დასაკრავში (აუდიო მაგ. 5). ამგვარად, ერთი საქრავის ფარგლებში ფუნქციონალურად განურჩეველ აკორდულ-სინქრონულ მრავალხმიან ფაქტურას – ჩონგურის, ფანდურის, ლარჯემ-სოინარის დასაკრავებში – რეალური მრავალხმიანობის ნიმუშად ვერ ჩავთვლით. ამის მიზეზი ხმათა შორის ფუნქციონალური ინდივერუენტულობაა, რომელიც ერთი ავტორის მიერ შესრულების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები არც თუ ისე ბევრია (აუდიო მაგ. 6). საპირისპიროდ ინდივიდუალური, იგივე სოლო ინსტრუმენტული მრავალხმიანობისა, უნდა გვქონდეს ანსამბლური ინსტრუმენტული მრავალხმიანობაც. მაგრამ დღესდღეობით ქართული ინსტრუმენტარიუმი ამ მხრივ მრავალფეროვნებას ვერ გვთავაზობს. ბოლორობინდელი მონაცემებით, ინსტრუმენტული ანსამბლის – დუეტის ერთ-ერთი აუცილებელი წევრი აქ დასარტყამი ინსტრუმენტია.

ჩაითვლება თუ არა ვოკალური ანსამბლის თანახმიერი მრავალხმიანი ინსტრუმენტის პარტია „მრავალხმიანობად მრავალხმიანობაში“? ამგვარი მრავალხმიანი ინსტრუმენტის ფარგლებში წარმოჩენილი ფუნქციონალური სხვადასხვაობა თავისი ხარისხით უფროულდება ვოკალური ანსამბლის ხმათა ფუნქციონალური დამოუკიდებლობის წინაშე. უფრო მეტიც: ხშირია შემთხვევები, როდესაც საკრავი ბაძებს ვოკალურ ანსამბლს, რომელსაც თანხლებას უკეთებს, ანუ ქმნის სიმღერის ერთგვარ „ასლეს“. ეს მოვლენა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსთვისა ბუნებრივი. მიგვაჩნია, რომ აქ „ხმის“ ფუნქციით ამგვარი საკრავიერი თანხლების თუნდაც რამდენადმე ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მქონე ელემენტები არ უნდა დავტვირთოთ; ხოლო თავად საკრავში დაფიქსირებულ მრავალხმიანობის ფორმას სამუშაო ტერმინად „მიბაძვითი მრავალხმიანობა“ ვუწოდებთ (აუდიო მაგ. 7). მაგრამ მიბაძვითი მრავალხმიანობა სოლო დასაკრავშიც იჩენს თავს. ხშირია ერთი ინსტრუმენტის მიერ მეორეს დასაკრავის შეთვისებაც. გვხვდება ნიმუშები, სადაც ბაძვითი შესრულება ავრცელს შესაბამისი ვოკალური შესრულების მუსიკალურ ფრაზას და მას მელიზმური ხევულებით ამონბს. ხშირად კი საკრავიერი თანხლება სოლო დასაკრავადაა წარმოდგანილი და ინდივიდუალური შესრულებისთვის დამახასიათებელ თავისუფლებას იძენს.

საზოგადოდ, ვოკალურ-ინსტრუმენტული მრავალხმიანობის ფორმები თავისი არაერთგვაროვანი და მრავალსახოვანი რეგლამენტით დეფინიციათა კასკადის შექმნის საცდურს ბაძებს. აქ ვხვდებით რეალური თუ აღნიშნული „ბაძვითი“ მრავალხმიანობის მქონე საკრავის, ან სოლო საკრავის შესამებას ვოკალურ სოლოსთან ან გუნდთან, ან საკრავისა და სოლო მომღერლის დუეტს, ან მონაცემლებისა და ა.შ.

ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში, იმის გამო, რომ გადაგველახა საკრავისა და ვოკალის ანსამბლის არაერთგვაროვნება, საკრავის ერთიანი პარტია „პლასტის“ ცნებით დავტვირთეთ, რამაც გამოიწვია ტერმინი „ვოკალურ-

ინსტრუმენტული მრავალპლასტიკობა“, მაგრამ მოუქნელობის გამო, ვფიქრობთ, იგი მკვდრადშობილად უნდა ჩაითვალოს, ისევე როგორც – ხუთიეკვის მსგავსი ტერმინი. იმედია, ამ სინკრეტული მოვლენების დასაფიქსირებლად მომავალში უკეთ მისადაგებული ცნებები შემუშავდება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ვეცდებით უკვე მრავალხმოანობის ფორმათ მიხედვით მიმოვისილოთ ქართული ხალხური საკრავიერი მრავალხმიანობა.

ოსტინატური მრავალხმიანობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებული ფორმაა სოლო ინსტრუმენტული მრავალხმიანობისა. სპირალური განვითარება მთავარი მახასიათებელია საცეკვაო თანხლებისა, რაც ქართულ მრავალხმიან საკრავებზე ინდივიდუალური შესრულების ძირითადი სფეროა. ოსტინატური ქარგა თავს იჩენს მთქმელის ვოკალურ თანხლებაშიც. საინტერესოა, რომ ჩონგურზე დასაკრავში ოსტინატური განვითარება სწორედ სოლო ვოკალის აკომპანემენტში მუდავნდება, რაც ხაზს უსვამს ამ რეგლამენტის სიძღველეს და, იქნებ, პირველადობასაც. სამაგიეროდ ოსტინატური მრავალხმიანობა უცხოა ვოკალური ანსამბლის ინსტრუმენტული თანხლებისათვის. გამონაკლისი, შესაძლოა, აქ ისედაც ოსტინატური სიმღერა „ჰარირას“ ჩონგურის თანხლებაში დაფინანსოთ (აუდიო მაგ. 8).

ბურლონი ქართულ დასაკრავებში ხშირად გადაჯაჭვულია ოსტინატურ ფორმასთან. ვფიქრობთ, უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში ბურლონის კომპოზიციური პრინციპი გამოყენებულია, როგორც კერძო შემოქმედებითი ხერხი ოსტინატოს ფარგლებში. სამაგიეროდ, ბურლონი დომინანტია გუდასტვირის იმ ფრაგმენტებში, სადაც საკრავი ხმის ფონადაა გამოყენებული (აუდიო მაგ. 9). სინქრონული მრავალხმიანობა, ერთი შეხედვით, ინსტრუმენტულშიც ისევე დიდი წილითაა მოცემული, როგორც ვოკალურ მუსიკაში. მაგრამ განსხვავებით სასიმღერო ფაქტურისაგან, ინსტრუმენტული აკორდული ფაქტურა არ აქვთავნებს ფუნქციონალური მრავალხმიანობის გამოკვეთილ ნიშნებს (აქ თავის სიტყვას ამბობს „მიბაამვით მრავალხმიანობა“). ამიტომ ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში მკაფიოდ გამოხატულ სინქრონულ მრავალხმიანობას ვერ ვადასტურებთ.

ასევე მხოლოდ კომპოზიციური პრინციპის ფრაგმენტული გამოვლენით იფარგლება ქართულ ხალხურ საკრავიერ მუსიკაში პარალელური ხმათას-ვლა.

პარალინეალური მრავალხმიანობა ქართული საკრავიერი მუსიკისათვის ასევე უცხოა. ჩონგურზე, ფანდურზე, ჭიბორზე იმპროვიზაციის გამორჩეული ნიმუშები ასტინატური მოკლე ფრაზების ფარგლებში თავსდება და აქ ზედმეტია საუბარი ცალკეული ხმის დამოუკიდებელი ლინეალური განვითარების მასშტაბზე, რაც თავისუფალ-კონტრასტულ მრავალხმიანობისთვისაა დამასასიათებელი (აუდიო მაგ. 10).

როგორც ვხედავთ, ქართული ხალხური ინსტრუმენტული მუსიკისათვის დამასასიათებელია მრავალხმიანობის ორი ძირითადი ფორმა: ოსტინატური და ბურლონული. ამასთან, პირველი მათგანი ბევრად უფრო მრავალფეროვნად და დიდი ხვედრითი წილითაა გამომჟღავნებული.

**აუდიო მაგალითები**

მაგალითი 1: „ხუთშაბათს დადამებასა“. უცნობი შემსრულებელი. (1959). საჭურე (ხევსურეთი). თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 77 №33

მაგალითი 2: „ნანაიალა“. შემსრულებელი: გვაშაქან კვიციანი. (2007). ცხემარი (სვანეთი). ჩამწერი: ნატალია ზუმბაძე

მაგალითი 3: „დასაკრაფი ჭიბონზე და დოლზე“. (2007). შემსრულებელი: ანჩისხატის ტაძრის გუნდი

მაგალითი 4: „მწყემსური“. (1959). შემსრულებელი: ძოკია არონია. ჭალე (სამეგრელო). ჩამწერი თოარ ჩიჯავაძე. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 82 №13

მაგალითი 5: „საზანდრული გუდასტვირზე“. (1965). შემსრულებელი: მიჩნიგაური გიორგი. ახალსოფელი (ქართლი). ჩამწერი ქახო როსებაშვილი. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 163 №6

მაგალითი 6: „საცემაო ჭიანურზე“. (1962). შემსრულებელი: ვასილ რეხვაიშვილი. ჭიორა (რაჭა). ჩამწერი გ. უორდანია. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 146ა №7

მაგალითი 7: „ბატონებო“. (1965). შემსრულებელი: ანსამბლი. ვანი (გურია). ჩამწერი: თოარ ჩიჯავაძე. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 170 №8

მაგალითი 8: „ჰარიოა“ (ზონგურით). (1936). შემსრულებელი: ქიონია ბარამია. კრებული „ქართული ხალხური სიმღერა“

მაგალითი 9: „არსენას ლექსი“ (1964). შემსრულებელი ალექსანდრე ჯიქური. მისაქციელი (ქართლი). ჩამწერი ქახო როსებაშვილი. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 161 №14

მაგალითი 10: „განდაგანა ჩონგურზე“. (1959). უცნობი შემსრულებელი. ბათუმი (აჭარა). ჩამწერი ვლადიმერ ახობაძე. თბილისის სახ. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივი. ფირი 97 №07

### დამოწმებული ლიტერატურა

ასლანიშვილი, შალვა. (1954). „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერაში“. წიგნში: ქართული ხალხური მუსიკის ნარკვევები. თბილისი: ხელოვნება.

გაბისონია, თამაზ. (2003). „პიპოთეზები ქართული მრავალხმიანობის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მურჯ საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა კრებული. რედაქტორები რუსუდან წურწუმია, იოსებ უორდანია. თბილისი: თბილისის კ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

გარაენიძე, ედიშერი. (1988). რესპონსორული სიმღერის როლი ქართული მრავალხმიანობის ჩამოყალიბებაში. წლიური სამეცნიერო ნაშრომი, ხელნაწერი. თბილისი სახელმწიფო კონსერვატორია.

ნიკოლაძე, ქეთევან. (2002). „მრავალხმიანობის ტიპების ურთიერთობიმართების საკითხისათვის ვოკალურ და საკრავიერ მუსიკაში“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა კრებული. რედაქტორები რუსუდან წურწუმია, იოსებ უორდანია. თბილისი: თბილისის კ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ჟვანია, თინათინ. (2001). „ქართული საკრავი და მრავალხმიანობა (ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ურთიერთობა)“. კრებულში: წურწუმია, რუსუდან (პ/მ რედ.). სახელმწიფო და საერთო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები. ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 3000 წლისთავისადმი მიმღებილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები. (ინგლისური რეზიუმეთი). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ჟორდანია, იოსებ. (2003). „მრავალდარგობრივი მიდგომა მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემის ძიებაში. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა კრებული. რედაქტორები რუსუდან წურწუმია, იოსებ უორდანია. თბილისი: თბილისის კ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

შილაკაძე, მანანა. (1970). ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. (რუსული და გერმანული რეზიუმეთი). თბილისი: „მეცნიერება“.

შილაკაძე, მანანა. (2005). „მრავალხმიანობა და ქართული ხალხური საკრავები“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა კრებული. რედაქტორები რუსუდან წურწუმია, იოსებ უორდანია. თბილისი: თბილისის კ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ჯავახიშვილი, ივანე. (1938). ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი: ფედერაცია.